



საქართველოს წიგნის გამომცემელთა  
და მავაჰრყველებელთა ასოციაციი  
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

SEPTEMBER  
25-27

Tbilisi 22  
International  
Book Fair

თბილისის

წიგნის

საერთაშორისო

ფესტივალი

ონლაინ  
ONLINE



25-27 სექტემბერი





თბილისის

წიგნის 

საერთაშორისო

ფესტივალი

მონაწილე

ONLINE

Tbilisi  
International  
Book Fair

22

# სერჩევი

- 10 გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“  
გამომცემლობა „ერათა“
- 11 გამომცემლობა „ერთანუჭი“  
გამომცემლობა „ექთი“
- 12 გამომცემლობა „ბაკვი“  
გამომცემლობა „დიოგენე“
- 13 „ელფის გამომცემლობა“  
გამომცემლობა „ინდიგო“
- 14 გამომცემლობა „ინტელექტი“  
სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“
- 15 „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სეაგენტო“  
„კავკასიური სხლი“

- 16 პროგრამა „ლოგოსი“  
წიგნის მაღაზია „კარნასი“
- 17 გამომცემლობა „კოფია“  
გამომცემლობა „საზანი“
- 18 „სულაკაურის გამომცემლობა“  
წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“
- 19 გამომცემლობა „შამცხება“  
გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“
- 20 გამომცემლობა „წიგნი+ერი“  
[readersland.ge](http://readersland.ge)





საქართველოს წიგნის გამომცემელთა  
და გაყიდვითა დასოციაცია  
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

მისამართი: ი. აბაშიძის ქ. N 16;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 592 51 83 83  
ელ. ფოსტა: [info@gpba.ge](mailto:info@gpba.ge); [dir@gpba.ge](mailto:dir@gpba.ge)  
საკონტაქტო პირი: თინათინ ბერიაშვილი  
ვებგვერდი: [www.gpba.ge](http://www.gpba.ge)

## ფესტივალის ორგანიზატორი: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გაყიდვითა დასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია დაარსდა 1998 წელს, 2007 წელს კი გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) წევრი. დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა დაახლოებით 90 პროცენტი ასოციაციის წევრია. ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს ამ სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბექდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში. ამ დარგში პირობების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაციამ შექმნა პროფესიული ეთიკის კოდექსი და აგრძელებს მუშაობას საკანონმდებლო ინიციატივებზე.

უკვე 20 წელიწადზე მეტია, რაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კულტურული ღონისძიებაა.

ასოციაცია მუდმივად ახორციელებს და მართავს ისეთ პროექტებსა და ღონისძიებებს, როგორებიცაა თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალი, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე საქართველოში, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე საქართველოში, საქართველოს ეროვნული სტენდი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს ეროვნული სტენდი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე, ბიბლიოთეკების გაუჩინება. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით განხორციელდა პროექტი “საქართველო – ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 2018-ის საპატიო სტუმარი” საგამომცემლო პროგრამა“. ამას გარდა, ასოციაციის ორგანიზებით პერიოდულად იმართება პროფესიული სემინარები და სამუშაო შეხვედრები (გორქოფი) ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებლებისთვის, ადგილობრივი წიგნის ბაზრობები საქართველოს რეგიონებში; ასევე მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო

ფესტივალზე. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მთავარი მიზანია საქართველოში საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და წიგნის კითხვის პოპულარიზაცია.

## თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ისტორია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით 2020 წლის 25-27 სექტემბერს თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალი ონლაინ ფორმატში გაიმართა.

ფესტივალის ფორმატის შეცვლის გადაწყვეტილება ფესტივალის ორგანიზატორებმა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ყველა შესაძლო რისკის შეფასების შედეგად და პარტნიორებისგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მიიღეს. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დამძიმებისა და კულტურულ ღონისძიებებზე დაწესებული შეზღუდვების გამო, ფესტივალის ჩატარება ExpoGeorgia-ს პავილიონში და მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალი რისკის შემცველი გახდა როგორც ფესტივალის მონაწილეების, ისე სტუმრებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მაისში ფესტივალი ტრადიციული სახით ასევე ვერ გაიმართა და 30-31 მაისს შედგა თბილისის ვირტუალური ფესტივალი.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1998 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და იმ მცირერიცხოვან კულტურულ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის სტუმრების რაოდენობამ ბოლო წლებში 60 ათასს მიაღწია. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის მიზანი საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობაა. წლების განმავლობაში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მიანიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მედიისა და ახალი მონაწილეების მუდმივად მზარდი რაოდენობა. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ყოველწლიურად მონაწილეობს და წარმოდგენილია როგორც ქართული, ისე უცხოური გამომცემლობები, სხვადასხვა ქვეყნის



საელჩოები, სახელმწიფო მუზეუმები და ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები. ფესტივალს წლების განმავლობაში საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებიან უცხოელი მწერლები.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ყოველწლიურად მასპინძლობს ფოკუს ქვეყანას. ასე, სხვადასხვა წლებში მისი სტუმრები იყვნენ ნორვეგია (2017), გერმანია (2018), ფინეთი (2019). 2020 წლის ფოკუს ქვეყნად თურქეთი გამოცხადდა, თუმცა ახალი კორონავირუსის გამო თურქეთის პრეზენტაცია თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე მომავალი წლისთვის გადაიდო. ეს გადაწყვეტილება თურქულმა და ქართულმა მხარემ ერთობლივად მიიღო. როგორც დაგეგმილია, 2021 წლის მაისში თურქეთი მკითხველების წინაშე წარსდგება მრავალფეროვანი ლიტერატურული და კულტურული პროგრამით.

ფესტივალის ძირითადი ნაწილი წიგნის ბაზრობაა. მასში მონაწილე გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელ ორგანიზაციათა მთავარი მიზანია, სტუმრებს განსაკუთრებული ფასდაკლებით შესთავაზონ წიგნები, დამხმარე მასალა და წიგნის აქსესუარები, ასევე სპეციალური სასაჩუქრე პაკეტები. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი აერთიანებს წიგნთან, ლიტერატურასთან, სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ აქტივობას - გამომცემელთა მიერ ახალი წიგნებისა და ავტორების წარდგენას, საჯარო კითხვას, შეხვედრასა და დისკუსიას ავტორებთან, საპატიო სტუმრის წარდგენას, ლიტერატურულ დაჯილდოებას, პროფესიულ სემინარსა და კონფერენციას.

თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალის სამდღიანი მრავალფეროვანი პროგრამა ტრადიციულ მიმართულებებს მოიცავდა, როგორცაა, ახალი წიგნების წარდგინებები და შეხვედრები ქართველ მწერლებთან, საბავშვო პროგრამა, პროექტი „მსახიობები ლიტერატურისთვის“, ფესტივალის საერთაშორისო-პროფესიული პროგრამა. პროგრამის ფარგლებში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფეისბუქ გვერდზე (<https://www.facebook.com/tbilisibookfair>) 35-ზე მეტი ღონისძიება გაიმართა პირდაპირი ჩართვების რეჟიმში, რომელიც გადაიცემოდა სპეციალურად საფესტივალოდ მოწყობილი ფიზიკური სცენიდან, რომელსაც ამჯერად მხოლოდ ვირტუალური მაყურებელი ჰყავდა.

საერთაშორისო საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში, თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალმა უმასპინძლა ონლაინ პანელ დისკუსიას „საგამომ-



ცემლო საქმიანობა კოვიდ 19-ის დროს და შემდეგ“. პანელ დისკუსია დაიგეგმა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციისა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თანამშრომლობით. გამომცემლებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ იმოქმედა მათი ქვეყნის საგამომცემლო სექტორზე COVID-19 პანდემიამ და რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამ პროცესს სამომავლოდ.

საფესტივალო დღეებში გაიმართა 40-მდე ღონისძიება, სადაც 60-ზე მეტმა მწერალმა, მთარგმნელმა, გამომცემელმა თუ ლიტერატურის კრიტიკოსმა 50-მდე ახალი წიგნი წარადგინა, მათ შორის იყო როგორც ცნობილი ავტორების წიგნები, ასევე დებიუტანტი მწერლების ნაწარმოებებიც. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო საინტერესო საბავშვო პროგრამაც. მკითხველის საყვარელი პროექტი „მსახიობები ლიტერატურისთვის“ ამჯერად ონლაინ ფორმატს მოერგო. ახალი გამოცემების შესახებ, გამომცემელ მკაც კასრატესთან ერთად ისაუბრეს მსახიობებმა მარიამ ჭოლოგუამ, ანა ნიკოლაშვილმა, დათუნა გოცირიძემ და ბუკა თოლორდავამ.

თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალის დახურვის ღონისძიება კი, სრულად მიეძღვნა ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს და გაიმართა სიმბოლური აქცია-პერფორმანსი. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე გვანცა ჯობავამ და საქართველოს პენცენტრის პრეზიდენტმა პაატა შამუგიამ ქართულ და ინგლისურ ენებზე წაიკითხეს ბელარუსი მწერლებისა და ზოგადად ბელარუსი ხალხის მხარდამჭერი საჯარო წერილი. ასევე ქართველმა მწერლებმა, შოთა იათაშვილმა და თამთა მელაშვილმა, ბელარუსული სათვისტომოს წარმომადგენელ ოლგა გრადინართან ერთად ქართულ და ბელარუსულ ენებზე სიმბოლურად წაიკითხეს ბელარუსული ლექსები.

ახალი ფორმატიდან გამომდინარე, თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალზე წიგნები გამოფენა-გაყიდვა მოხდა ონლაინ რეჟიმში, საგანგებოდ შექმნილ ელექტრონულ პლატფორმაზე [www.tbilisibookfair.ge](http://www.tbilisibookfair.ge). თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალში 20-ზე მეტმა გამომცემლობამ მიიღო მონაწილეობა.



## აკადემიური წიგნი

მისამართი: ირ. აბაშიძის 16, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: +995 599 960904  
ელ. ფოსტა: acadbookinfo@gmail.com  
საკონტაქტო პირი: მაია ღამბაშიძე  
ვებ-გვერდი: acad.ge

გამომცემლობა გამოსცემს სამეცნიერო  
ლიტერატურას, ხელს უწყობს  
ქართული სამეცნიერო ლიტერატურის  
პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით,  
ასევე ამზადებს შემეცნებით სამაგიდო  
თამაშებს (MAKOTO-ს თამაშები)



## გამომცემლობა „არქატი“

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 22;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 02 55  
საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია

გამომცემლობა „არქატი“ დაარსდა  
2003 წელს. მას შემდეგ „არქატი“ 50-  
ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული,  
მათ შორის მხატვრული, საბავშვო და  
სამეცნიერო ლიტერატურა. ამჟამად  
„არქატი“ საგამომცემლო პრიორიტეტებია:  
ოთარ ქილაძის ნაწარმოებების სრული  
კრებული, მსოფლიო კლასიკური  
ლიტერატურის თარგმანები სერიით  
„აუცილებელი საკითხავი“, ჯორჯ  
მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის  
სიმღერა“.



## გამომცემლობა „არტანუჯი“

მისამართი: ქავჭავაძის გამზირი N 5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 05 22  
ელ. ფოსტა: info@artanuji.ge  
საკონტაქტო პირი: მარია კუდავა  
ვებგვერდი: www.artanuji.ge

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს დაარსდა. გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა საისტორიო-სამეცნიერო თემატიკა. საისტორიო მიმართულების პარალელურად, „არტანუჯი“ გამოსცემს მხატვრულ, შემეცნებით, პოლიტიკურ ლიტერატურას, პოპულარულ ადამიანთა ავტობიოგრაფიებს, ლექსიკონებს და სხვ. „არტანუჯი“ ლიდერია ღია ბარათების მრავალფეროვნებისა და ხარისხის თვალსაზრისით.



## გამომცემლობა „აქტი“

მისამართი: რუსთაველის გამზირი N16;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: 591 92 21 23  
ელ. ფოსტა: filosofh199@gmail.com  
საკონტაქტო პირი: გიზო ცაცუა  
ვებ-გვერდი: www.akti.ge

გამომცემლობა „აქტი“ დაარსდა 2019 წელს. გამომცემლობის მიზანია ხელი შეუწყოს ფილოსოფიური, მეცნიერული აზროვნების განვითარებას. გამომცემლობა ძირითადად მუშაობს ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, თეოსოფიური და თეოლოგიური წიგნების გამოცემაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობის გახსნიდან სულ რაღაც 9 თვეა გასული, გამომცემლობას უკვე გამოცემული აქვს 20-ზე მეტი წიგნი. გამომცემლობის მიერ გამოცემულია ცნობილი გერმანელი, ებრაელი, რუსი, დანიელი, ინდოელი, ინგლისელი და ქართველი ფილოსოფოსების წიგნები.



## გამომცემლობა „ბაკმი“

მისამართი: დიღმის მასივი, რობაქიძის გამზირი N7; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 72 54 99; +995 597 75 65 35  
ელ. ფოსტა: bakmipublishing@gmail.com  
საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე  
ვებგვერდი: www.bakmi.ge

გამომცემლობა „ბაკმი“ შეიქმნა 2000 წელს. ამ ხნის განმავლობაში გამომცემლობამ განახორციელა არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტი. ბოლო სამი წელია „ბაკმი“ წარმატებით გამოსცემს ქართულ რარიტეტულ წიგნებს. კერძოდ: „წმინდაი ოთხთავი“, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამი „რობაიები“ და სხვ. ძირითადი საგამომცემლო მიმართულებებია ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები.



## გამომცემლობა „დიოგენე“

მისამართი: ა. აფაქიძის ქ. N 9; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 21 33 21  
ელ. ფოსტა: e.tsirekidze@diogene.ge; sales@diogene.ge; adm@diogene.ge  
საკონტაქტო პირი: ეკო ცირეკიძე, ნინო გარაყანიძე  
ვებგვერდი: www.diogene.ge; www.diogeneshop.ge

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თანადამფუძნებელი და წევრი – გამომცემლობა „დიოგენე“ დაარსდა 1995 წელს. „დიოგენეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია საგანმანათლებლო, მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა. გამომცემლობა წლიურად დაახლოებით 30 სხვადასხვა დასახელების წიგნს გამოსცემს.



ელფის გამომცემლობა  
Elf Publishing House



## ელფის გამომცემლობა

მისამართი: კარტოზიას ქ. N8. კორპუსი N9,  
მე-2სართული; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 92 35 70; +995 599 36 53 73  
ელ. ფოსტა: office@elf.ge; adm@elf.ge  
საკონტაქტო პირი: ნინო გიგაური  
ვებგვერდი: www.elf.ge;  
www.facebook.com/Elf.Publishing.House/

„ელფის“ გამომცემლობა 1996 წლის მარტში დაარსდა. მისი დამფუძნებელი პროფესიით ჟურნალისტი და მთარგმნელი თინათინ დიდებულიძე გახლავთ. „ელფის“ გამომცემლობა თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ და უმსხვილეს გამომცემლობებთან, ასევე ყოველწლიურად წარმოდგენილია ფრანკფურტის (გერმანია) წიგნის და ბოლონიის (იტალია) საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე. დღესდღეობით „ელფის“ გამომცემლობა ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობაა საქართველოში. საგამომცემლო პრიორიტეტები: მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ატლასები და სხვა.

## გამომცემლობა „ინდიგო“

მისამართი: ი. გოგებაშვილის N38, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: +995 555 57 45 45  
ელ.ფოსტა: indigo.magazine.2015@gmail.com  
საკონტაქტო პირი: თაკო პაპაგა  
ვებგვერდი: www.indigo.com.ge

ინდიგო - ახალი დრო. იდეები. ადამიანები გამომცემლობა ინდიგო 2015 წლიდან გამოსცემს ყოველთვიურ კულტურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს - „ინდიგო“. წელიწადში ორჯერ გამოსცემს ინგლისურენოვან ესეების, რეპორტაჟებისა და ინტერვიუების კრებულს. ინდიგოს ავტორობით გამოდის სეზონური გამოცემაც მოგზაურთათვის - Adventurer. 2018 წლიდან ინდიგომ დაიწყო თანამედროვე ლიტერატურის, ესეისტიკის, ფოტოწიგნებისა და დოკუმენტური პროზის გამოცემაც.



## გამომცემლობა „ინტელექტი“

მისამართი: ქაგჭავჭავაძის გამზირი N 5;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 05 22  
ელ. ფოსტა: [intelekti@caucasus.net](mailto:intelekti@caucasus.net)  
საკონტაქტო პირი: კახმეგ კუდავა  
ვებგვერდი: [www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge)

გამომცემლობა „ინტელექტი“ 1994 წელს დაარსდა. ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული ორგანიზაციაა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო და საგამომცემლო სივრცეში. სასკოლო სახელმძღვანელოები ქართული და არაქართულენოვანი სკოლებისთვის; კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა; მსოფლიო ლიტერატურის შედეგები და უმნიშვნელოვანესი ავტორები, რომლებსაც პირველად გაეცნო ქართველი მკითხველი; ცნობილი მწერლების დღიურები და ჩანაწერები – ის თემები და პროექტებია, რომლებზეც ოც წელზე მეტია მუშაობს „ინტელექტი“.

## სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“

მისამართი: ილია ქაგჭავჭავაძის გამზირი №17ბ;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 250 02 01  
ელ ფოსტა: [iriatoni@gmail.com](mailto:iriatoni@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ კორტავა

წიგნების „სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი“ დაარსდა 2013 წელს და მას შემდეგ წარმატებით ავრცელებს ქვეყნის წამყვანი გამომცემლობების („აზრი“, „არეტე“, „არტანუჯი“, „ბუკლი“, „ბიზნესლიტერატურა“, „ბოლიანი კატა“, „ინგლისურენოვანი წიგნები“, „ინტელექტი“, „ლაზარე“, „წიგნები ბათუმში“) წიგნებს მთელი საქართველოს მასშტაბით. სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“ წიგნებით ამარაგებს თბილისსა და რეგიონებში არსებულ ყველა მოქმედ წიგნის მაღაზიას.



ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო  
**NODAR DUMBADZE PUBLISHING & LITERARY AGENCY**



## ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო

მისამართი: ფალიაშვილის N18, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: +995 591 21 11 10  
ელ. ფოსტა: [kndumbadze@gmail.com](mailto:kndumbadze@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ქეთევან დუმბაძე

გამომცემლობის პრიორიტეტებია: ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გამოცემა; თანამედროვე პროზაიკოსებისა და პოეტების გამოცემა და პოპულარიზაცია; უხელოური ლიტერატურის თარგმნა, გამოცემა, პოპულარიზაცია; ლიტერატურული ურთიერთობების და მხატვრული თარგმანის ხელშეწყობა. გამომცემლობამ უკვე გამოსცა ნოდარ დუმბაძის რომანები, მოთხრობები, საბავშვო ლექსები, თანამედროვე ქართველი პოეტები. ახორციელებს სერიას „ლიტერატურა საზღვრებს გარეშე“, რომლის ფარგლებში გამოიცა, ებრაელი, შვედი, იტალიელი, უკრაინელი, ლიეტუველი პოეტების კრებულები.

## „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი“

მისამართი: გალაკტიონის ქუჩა N20,  
თბილისი, საქართველო  
ტელ: 032 2 93 50 88, +995 598595059  
ელექტრონული ფოსტა: [info@caucasianhouse.ge](mailto:info@caucasianhouse.ge)  
საკონტაქტო პირი: გიორგი ჯაგახაძე

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კი კავკასიელი ხალხების კულტურის გავრცელებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. „კავკასიური სახლის“ გამომცემლობას გამოცემული აქვს, როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლები, სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა, კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურების შესახებ, ასევე „კავკასიური სახლის“ გამომცემლობა აქტიურად აქვეყნებს ქართველ ავტორთა მხატვრულ შემოქმედებასაც.



## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიანიტიკისა და ნეოგრაფიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“

მისამართი: ქაგჭავჭავაძის გამზირი N 13;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 25 02 58  
ელ. ფოსტა: kevlshvili13@gmail.com  
საკონტაქტო პირი: გონა კველიშვილი

ინსტიტუტი შეიქმნა 1997 წელს ბერძნული და რომაული ფილოლოგიის სფეროში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული სასწავლო და სამეცნიერო ქვედანაყოფების გაერთიანების საფუძველზე. ინსტიტუტის აკადემიური სექტორი წამოადგენილია სამი მიმართულებით: კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი ხერძნული ფილოლოგია. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და საკონფერენციო ცენტრები.



## წიგნის მაღაზია „პარნასი“

მისამართი: ი.ქაგჭავჭავაძის გამზ 22, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: +995 032 250 255  
ელ. ფოსტა: info@parnasi.ge  
საკონტაქტო პირი: ელისო ხაინდრაგა

პარნასი არის ერთ-ერთი პირველი წიგნის მაღაზია თბილისში, რომელიც 2002 წელს დაარსდა. პარნასი გთავაზობთ არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიოს წამყვანი გამოცემლობების მიერ გამოცემულ წიგნებს ყველა ენასა და ყველა თემაზე, ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, პარნასში შეგიძლიათ შეიძინოთ ან შეუკვეთოთ, როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო ლიტერატურა (მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, სამედიცინო, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ბიზნესი, ზუსტი მეცნიერებები და ა.შ.)





## გამომცემლობა „პოეზია“

მისამართი: ყიფშიძის ქ. N 2;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 599 53 78 87  
ელ. ფოსტა: [nalhazishvili@poeziapress.org](mailto:nalhazishvili@poeziapress.org)  
საკონტაქტო პირი: ნატო ალხაზიშვილი

გამომცემლობა „პოეზიამ“ საქმიანობა „ვეფხისტყაოსანის“ ახალი ინგლისური თარგმანის გამოცემით დაიწყო (მთარგმნელი - ლინ კოფინი). 2016 წელს ამ თარგმანმა ქართული ლიტერატურის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში პრემია „საბა“ დაიმსახურა. ბოლო წლებში „პოეზია“ აქტიურად თარგმნის და გამოსცემს ინგლისურენოვან დოკუმენტურ პროზას მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის ნაკლებად ცნობილი ასპექტების შესახებ.

## გამომცემლობა „სეზანი“

მისამართი: წერეთლის გამზირი N 140;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 35 70 02; +995 599 67 77 56  
ელ.ფოსტა: [irinacezanne@gmail.com](mailto:irinacezanne@gmail.com);  
[mananakartozia@yahoo.com](mailto:mananakartozia@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი

„სეზანი“ სახელოვანი გერმანული ფირმის „ჰაიდელბერგის“ პარტნიორი საწარმოა და ევროპულ ხარისხს ამკვიდრებს ქართულ ბაზარზე. მისი საგამომცემლო ჯგუფი 12 წლის წინ შეიქმნა და მიზნად ისახავს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს, ღირსეული ეროვნული პროდუქციის შექმნას. ვგულისხმობთ მასშტაბურ პროექტს „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“. პანდემიის პერიოდში საგამომცემლო ჯგუფს არ შეუწყვეტია მუშაობა თავის ახალ სერიებზე „ქებათა ქება სპორტს“. ჩვენი ინტერაქტიული გამოცემები: ლელა ცუცქერიძის „მწერლობანა“, მანანა კარტოზიას „ასოციაციობანა“ და გია მურღულიას გამოწვევა „ფიქრი ფიქრზე“ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს დააინტერესებთ.



**სულაკაურის  
გამომცემლობა**



## „სულაკაურის გამომცემლობა“

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი N150;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 91 09 54; +995 591 19 49 50  
ელ. ფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge); [Tinak@sulakauri.ge](mailto:Tinak@sulakauri.ge)  
საკონტაქტო პირი: თინა კუხიანიძე  
ვებგვერდი: [www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge) ; [www.sulakauri.edu.ge](http://www.sulakauri.edu.ge)

“სულაკაურის გამომცემლობა“ დაარსდა 1999 წელს. თავდაპირველად ის თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. დროთა განმავლობაში სულაკაურის გამომცემლობის საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა და პატარა ოჯახური ტიპის გამომცემლობიდან საქართველოს წამყვან გამომცემლობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ამჟამად საგამომცემლო პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა.

## წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“

მისამართი: ქავჭავაძის გამზირი N17ბ;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 47 55 35; +995 595 38 48 47  
ელ. ფოსტა: [ninokatsiashvili@gmail.com](mailto:ninokatsiashvili@gmail.com)  
საკონტაქტო პირი: ნინო კაციაშვილი  
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/ShakroBabua/>

წიგნის მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში არსებული გამომცემლობების წიგნები. ძირითადად მოიცავს 2000 წლიდან ამ დრომდე გამოცემულ ლიტერატურას, როგორც მხატვრულს, ისე სამეცნიეროს. ამასთან ერთად, წარმოდგენილია ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ეროვნული უმცირესობების (აზერბაიჯანული) ენაზე. წიგნის მაღაზია თავის სივრცეში ორგანიზებას უწევს მრავალ ქართველ და უცხოელ ავტორთან შეხვედრას, საჯარო ლექციას თუ წიგნის პრეზენტაციას.



შემეცნება



წიგნები  
ბათუმში

## გამომცემლობა „შემეცნება“

მისამართი: ა. ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ;  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 260 23 15; +995 599 550 554  
ელ.ფოსტა: [info@shemetsneba.ge](mailto:info@shemetsneba.ge)  
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი

გამომცემლობა „შემეცნება“ 2005 წელს დაფუძნდა და უკვე მე-15 წელია კულტურის, განათლებისა და ლიტერატურის სამსახურშია. გამომცემლობის შექმნის იდეა 2004 წელს ფრანკფურტში დაიბადა, როდესაც მისი დამფუძნებელი, დირექტორი, საბავშვო წიგნების, სახელმძღვანელოების ავტორი ლია შალვაშვილი, ვიზიტორის სტატუსით იმყოფებოდა წიგნის ბაზრობაზე. დროთა განმავლობაში გამომცემლობა „შემეცნება“ გაფართოვდა. ამჟამად ძირითადი საგამომცემლო პრიორიტეტებია: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები.

## გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“

მისამართი: ი. ნიკოლაძის N 5ა; თბილისი,  
საქართველო  
ტელ: +995 555 64 08 87  
ელ. ფოსტა: [mariam\\_korinteli@yahoo.com](mailto:mariam_korinteli@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: მარიამ კორინთელი

გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ 2015 წელს დაარსდა. სამი წლის განმავლობაში გამომცემლობაში ორასზე მეტი დასახელების წიგნი გამოიცა. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის სერიები ათეულობით ბესტსელერ წიგნებს აერთიანებს. ადგილობრივ წიგნის ბაზარზე გამომცემლობა გამოირჩევა ფენტეზისა და ფანტასტიკის ჟანრის თარგმანების სიმრავლით. გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველ ავტორებს და უკვე გამოცემული აქვს მრავალი ავტორის შემოქმედება. გამომცემლობის წიგნები გამოირჩევა ყდის განსაკუთრებული დიზაინითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.

# 20/21



## გამომცემლობა „ნიგნი+ერი“

მისამართი: ც.დადიანის 7, საგაჭრო ცენტრი  
ქარვასლა, A517 ოთახი, თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 571 13 12 11  
ელ. ფოსტა: [contact@tsignieri.ge](mailto:contact@tsignieri.ge);  
[mzia\\_r@yahoo.com](mailto:mzia_r@yahoo.com)  
საკონტაქტო პირი: შზია რაზმაძე  
ვებგვერდი: [www.books.tsignieri.ge](http://www.books.tsignieri.ge)

გამომცემლობა „ნიგნი+ერი“ დაარსდა 2012 წლის აპრილში, მისი დამფუძნებელია პაატა ხუნაშვილი. „ნიგნი+ერი“ გამოსცემს სამეცნიეროპოპულარული და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას ყველა თაობისათვის. გამომცემულია, მრავალტომეული „ჩვენი ღირსებანი“, რომელშიც საქართველოს სულიერი და მატერიალური ფასეულობებია ასახული. ორ ენაზეა (ქართულ-ინგლისური) გამომცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „საქართველოს თევზები“. ასევე გამოიცა სასკოლო ენციკლოპედია, ქართული, უცხოური ზღაპრები. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამომცემლობა აწვითარებს, ფსიქოლოგიაა.

## READERSLAND.GE

მისამართი: იოსებძის ქ. N49; თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 322 420 421  
ელ.ფოსტა: [n.odisharia@hotsale.ge](mailto:n.odisharia@hotsale.ge)  
საკონტაქტო პირი: ნათია ოდიშარია

readersland.ge არის „პალიტრა მედია ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანია, რომელიც 2013 წელს შეიქმნა. ვებ გვერდზე შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნები 80%-მდე ფასდაკლებით. საიტზე არის ფართო არჩევანი - სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, მათ შორის „ბესტსელერები“ და უახლესი გამომცემები. ვებ გვერდზე წიგნის შეძენა ძალიან კომფორტული და მოსახერხებელია. ასევე, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს საკურიერო მომსახურებით მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენი პარტნიორები არიან საქართველოს წამყვანი გამომცემლობები, რომლებიც მომხმარებელს Readersland.ge-ს დახმარებით წიგნებს დიდი დანაზოგით სთავაზობენ.


# რეკლამა

თბილისის წიგნის ვირტუალური ფესტივალი  
(30-31 მაისი)

- **წიგნი მათთვის, ვისაც (არ) უყვარს ფენტეზი**  
ნანა აბულაძე

თბილისის წიგნის ვირტუალური ფესტივალი  
(25-27 სექტემბერი)

- **აღექით, ლორკა ისვრის!**  
მარიამ ქავთარაძე
- **“შავი პრინცი” და ქალის თვალთ დანახული**  
კლტერნატიული რეალობა  
მანანა აჩაბაშვილი
- **უბედურების გაცნაების ექსტაზი**  
ია კალერმანი



მართა ურუშაძე

მეხამრიდი

გამომცემლობა „ინტელექტი“

ფენტეზი გიყვართ? ჰოო? მაშინ „მეხამრიდი“ თქვენთვისაა! არაა? მაშინ ეს რეცენზია ორმაგად ყურადღებით უნდა ჩაიკითხოთ.

დავიწყოთ სულ თავიდან, ე.ი. ჟანრის თავისებურებიდან. ფენტეზის თავგადაკლული მკითხველი არც მე მეთქმის, მაგრამ ერთი კი შემინიშნავს: ზოგადად, ეგეთი წიგნები ორნაირად იწერება: ავტორი ან თავიდანვე საოცრებათა სამყაროში ამოგაყოფინებთ თავს (ასეა, მაგალითად, „ბეჭდების მბრძანებელში“) ან ჯერ ჩვენი რეალობის მსგავს სამყაროს გიხატავთ და მერე პერსონაჟებთან ერთად გადადიხართ სხვაგან, კარის, კედლის ან კარადის მიღმა (როგორც „ჰარი პოტერში“ ან „ნარნიას ქრონიკებში“). ჰოდა, ახლა თქვენ წინაშეა წიგნი, რომელიც არცერთ ამ სქემას არ მიჰყვება: აქ ზღვარი ჩვენი რეალობის მსგავს სამყაროსა და მიღმიერ სამყაროს შორის მოშლილია - ისინი ერთ სივრცეში თანაარსებობენ. თავიდან გგონია, რომ ეს სივრცე პერსონაჟის ცნობიერებაა, რადგან მთხრობელი პროტაგონისტია და ამბავსაც მისი თვალთ ვხედავთ. ამიტომ ფიქრობ, პროტაგონისტს რაიმე სახის ფსიქიკური აშლილობა აქვს (ალბათ, უფრო - შიზოფრენია), ეს ყოველივე, რასაც რეალობად აღიქვამს, ჰალუსინაციებია და ყოჩაღ ავტორს, რომ ასე გარისკა და ამბავს მას აყოლებსო. მერე მოუ-

ლოდნელად ირკვევა, რომ რაის ჰალუსინაციები - ეს ყველაფერი მართლა ხდება, მისი ძმა მართლა შამანი იყო და მისი და მისი ძმისნაირები კიდევ არიან, კაცობრიობას ჯერარნახული საფრთხე ემუქრება, ძმა კი სად არის, არავინ იცის. და ეს ყველაფერი ერთ, თითქოს არაფრით გამორჩეულ, ოცი წლის გოგოს, დეას, ატყდება თავზე! რა უნდა ქნას ან სიტუაციაში? ალბათ, დაკარგული ძმა უნდა მოძებნო; ამ გზაზე კი ვის და რას აღარ გადაეყრები: უღალთმიან აკას - შენი ძმის საუკეთესო მეგობარს, კაც-კუდიანს, რომელსაც დედაშენი უყვარს, საზარელ ჰურიტურის, მიღმიერი სამყაროდან მეტად უჩვეულო გზით რომ გადმოშტარა და მთელ სოფელს აწიოკებს, თვალვს, რომელსაც მგლად ქცევა შეუძლია, მამაც ტაოს, ცოტა არ იყოს, მეღანქოლიურ დიმას, ფოცხთავას, იისფერ ძაღლს... ყველა პერსონაჟს აქ ვერ ჩამოვთვლით და არცაა საჭირო, მაგრამ ისინი ისე ცოცხლები არიან, თავს უმაღლესად გამახსოვრებენ. „ჩვენი პროტაგონისტი დეა“ კი ძმას ეძებს და ამ ძებნაში საკუთარი თავს პოულობს. წიგნს ისეთი მოულოდნელი, ნათელი და კეთილი ფინალი აქვს, სიცოცხლის სიყვარულით აგავსებს - იქ სიკვდილი ქრება, არა, კი არ მარცხდება (როგორც ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში) ან კვდება (როგორც გოდერძი ჩოხელთან), არამედ ქრება. და თუ

გაინტერესებთ, როგორ, ეს წიგნი უთუოდ უნდა წაიკითხოთ.

ეს ამბავზე ვთქვით ორიოდ სიტყვა, ახლა ისიც მიმოვიხილოთ, როგორაა ეს ამბავი დაწერილი:

ტიქსტში, რასაკვირველია, არის გადაძახილები სხვა ტექსტებთან (იქნება ეს დაკარგულის ძიებისა და ქვესკენელში ჩასვლის მოტივები, თუ სიზმარში ნანახი ძალღი, რომელიც ყვეს, ფრანც კაფკაფკაფკაფკაფო), მაგრამ ეს ყველაფერი ისეა შეფერილი ირონიით, რა სამკითხველო გამოცდილებაც არ უნდა გქონდეთ, მაინც ლაღად წაიკითხავთ. მეტიც, თავად ამ გადაძახილ-გადმოძახილების არსებობაც კი ირონიზებული აქვს ავტორს:

„თმაგაშლილი აკაც გამოლივლივდა თავის გრძელ თეთრ ლამის პერანგში. გაოცებულმა ავხედ-დავხედე, მისტერ როჩესტერის ყოფილი ცოლი მომაგონა. „ჯეინ ეარი“ წაკითხული გაქვთ? არა? მაშინ დაიკიდეთ.“

ირონია კიდევ ერთ საქმეს შველის - ტექსტში არის ადგილები, მის იდეას რომ გვიცხადებს. ამას თავად დეა გადმოგვცემს, ცოტა არ იყოს, მგზნებარე სიტყვებით:

„როგორც ტიტანები, ისე უნდა შევუდგეთ ცის თაღს და ჩამოქცევისგან ვიხსნათ. ამისთვის კი საკუთარი პატარა ცხოვრებებიდან უნდა გავიღებთ. წელში უნდა

გავიმართოთ და ზემოდან გადავხედოთ ყველაფერს [...] ჩვენ ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედული ცაა [...] რომელსაც თითქმის ველარ ვხედავთ, გამონაბოლქვის, განათებების და იდიოტური, უშნო კორპუსების გამო. დახარბებულები ვართ უფრო და უფრო მეტ მატერიალურ კომფორტს და გვავიწყდება, რომ ეს ვერასდროს დაგვაკმაყოფილებს. ადამიანი აუცილებლად უნდა ხედავდეს ვარსკვლავებს ღამით. ასე ვართ შექმნილები. მხოლოდ ეს გაგვახსენებს, ვინ ვართ სინამდვილეში, სიტყვები საჭირო არაა, არც ფიქრი. უბრალოდ, ზურგზე უნდა გაწვე და ცას უყურო. ღრმად დამარხული სული გაიღვიძებს, უძველესი რამ, რაც ყოველთვის არსებობდა.“

ეს გამოსვლა ყალბ და უგემურ ჭკუის სწავლებაში გადაიზრდებოდა, რომ არა ირონია, რომელითაც დეა თავის ნათქვამს აფასებს: „რა ვიბოდიხლავ? მგონი, ჩემი ნათქვამიდან ერთი სიტყვისაც არ მჯეროდა.“

ირონიის გარდა, ტექსტს ცოცხალი ენაც ახალისებს, თითქოს უმნიშვნელო დეტალების აღწერა კი საოცარ კინემატოგრაფიულობას სძენს. შეგხვდებათ ისეთი წინადადებებიც, რომლებიც უფრო ფრაზებია და რომლებშიც თვითონ სიტყვები მოქმედებენ: „ისეთი მაღლიერი ვიყავი, მაღლობა ვერ გადავუხადა.“

მე ვფიქრობ, ეს არის წიგნი იმაზე, რაც სინამდვილეში სჭირს თანამედროვე ადამიანს და რაზეც ჩვენ ყველა ამ ეპიდემიის ფონზე კიდევ ერთხელ დავფიქრდით. ამიტომ სწორედ ახლაა ამ წიგნის წაკითხვა საჭირო. ბოლოს კი აი, რას ვიტყვი:

ეს წელია, აღარაფერს ვგეგმავ. ადრე ვგეგმავდი, ყველაფერს და სულ. ჰოდა, ამას წინათ დავფიქრდი, ჩემი არხეინობა შეცდომა ხომ არაა-მეთქი. ეგეთი ფიქრები გულს ამძიმებს და მეც სასოწარკვეთას არაფერი მაკლდა, „მეხამრიდიდან“ რომ წამომიტივტივდა ეს პასაჟი (მომყავს ისე, როგორც მაშინ გამახსენდა):

„რა გინდათ, ვაღიარებ, რომ აზრზე არ ვარ! არ არის საკმარისი, რომ ვინმე დამეხმაროს?“

-საკმარისია, დეა, ყველაფერი საკმარისია. ყოველთვის ყველაფერი საკმარისი იყო. რა გჭირთ ამ ადამიანებს? რა პრობლემები გაწუხებთ, ადექით და, უბრალოდ, იცხოვრეთ. ძნელია?“

დავმშვიდდი. ჰო, კარგ წიგნებს შეუძლიათ, გვანუგეგმონ, მით უმეტეს, თუ ამბავი „მეხამრიდით“ ჩამთრევი აქვთ და პერსონაჟებიც - დასამახსოვრებელი.



**ფედერიკო გარსია ლორკა**

**„ბოშური რომანსერო“**

**მთარგმნელი:  
დავით წერედიანი**

**გამომცემლობა „ინტელექტი“**

პაბლო ნერუდა ამბობდა ლორკაზე, მის ლექსებს სხეული აქვსო. ჰოდა, არიან მკითხველები, დამეწრმუნეთ, არიან, რომლებმაც ესმით, რას ნიშნავს ტექსტის სხეულებრივი ფორმა, რომ ზოგი ტექსტი თავისი ფეთქვის მიყურადების საშუალებას გაძლევს. ამ ფეთქვის აღქმასაც სჭირდება რაღაც თავისებური და დაწერას ხომ მით უფრო. პროზაში, მაგალითად, აპდაიკის „ბრაზილია“ ვთქვათ და შეუძლებელია, სულ სულ მცირედით მაინც არ იგრძნო ის, რაზეც ვლაპარაკობ. აქ იმხელა სიმაღლეს აღწევს მწერლის ოსტატობა ამ აზრით, ქვა რომ ქვაა, იმასაც შეიძლება ვენა მოუნახოს და სისხლი აუჩქაროს. მაგრამ პოეზია ცოტა სხვაა. პოეზიაში მეტად შეიძლება ჩირდეს აზრს ისრის ფორმა მისცე და ისროლო და ისროლო ზუსტად და მოხვდეს და მოხვდეს ღრმად, რადგან აქ აზრმა თან უნდა ითვალოს, ირითმოს, ირიტმოს, იცეკვოს და თან სათქმელი ისე თქვას, სურათი პირდაპირ გააცოცხლოს. ჰოდა, ესპანურ ლირიკაში ლორკამ შეძლო ეს - ლექსისთვის მიეცა არტერიული წნევა და თან ეს გაეკეთებინა იმდენად ყოფითი, ნაცნობი სიტყვებით, რომ უბრალო ესპანელ ხალხს, რომელზეც ასე გატაცებით იყო შეყვარებული პოეტი, გაეგო მისი, მოესმინა, ეგრძნო და ზეპირად ემღერა.

ასე საზეპიროდ იქცა „ბოშური რომანსერო“, რადგან სწორედ აქ მოხ-

და ის, რისკენაც ლორკა მიიწევდა მთელი თავისი შემოქმედებით. „27-იანელთა“ თაობის სხვა წარმომადგენელთა შორის, ალტორაგირეს, ალესიანდრეს, ალბერტის, სნერუდას გვერდით იგი იყო ერთადერთი, რომელიც „გადაურჩა გონგორას ცივ სუნთქვას“ და გააგრძელა ავანგარდის მიზნისა და მაღალი კლასის უცხო ფაქიზი, ბალანსირებული შერწყმით. ეს პოეზია შეიყვარეს ბაროკოს გულშემოტიკავარებმაც, რომელნიც გონგორასეულ ჩიტებს, ვარსკვლავიან ცასა და ელვარე, ნაკლებმიწიერ სიტყვებს ეტრფოდნენ და უბრალო გლემმაც, ვინც არც ერთის, არც მეორისა და არც მესამის კლასიური სილამაზის სტანდარტები არ იცოდა და მით უფრო, არც ჰყვარებია, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვერავინ ასწავლიდა, თუ როგორ ხტუნავს ვასაკა, ათასჯერ არ უნახავს? და აი, ამბობს ლორკა „პრესისოსა და ქარში“

„თავის პერგამენტის მთვარეს - უკრავს ბომის გოგო დაირას დაფნებს და ბროლ-მინდვრებს შორის გზა დახტის ვასაკასანიარად“.

- და ეს უკვე სხვა საქმეა.

მაშინ, რევოლუციურ ესპანეთში, ფრანკისტებზე უკეთ არც არავინ უწყობდა ის, რომ ლორკამ ხალხთან სალაპარაკო ენა მონახა და ენასაც ხომ გააჩნია. მონახა ენა, როგორც განცდის კატალიზატორი, სადავე და ეს იმთავითვე იყო სისტემის-



თვის საფრთხე. ლორკა მემარცხენე, გამოუსწორებელი მეოცნებე იყო, მაგრამ, მიუხედავად ამდენად მძაფრი პერმანენტული აგრესიისა მემარჯვენეთა მიმართ, რომლის გამოხატვის ფორმა შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყო მომწოდებლური, მისიონერული ხასიათისა, მიუხედავად მისი დევნისა, მკვლევლობისა, ლორკა არ ყოფილა პოლიტიკური ფიგურა არც სიცოცხლეში და არც მის მერე, მის სიტყვასა და იდეებს არ ჰქონია იდეატორული შემართება. ის მღეროდა ანდალუზიაზე, ანდალუზიურ ნაღველებზე და ალბათ, რომ გეკითხვითხათ, სხვა არაფერი ენდომებოდა, ეცხოვრა ამაყ, თავისუფალ, დემოკრატიულ ესპანეთში, სადაც თავის აგერ ახლახან წაითხულ ლექსებს მკერდავსვე ქალები ცხელ ქურამდელ მიიყოლებდნენ და ზეპირად ილიდივებდნენ.

ჰოდა, თავისუფალ ესპანეთში ცხოვრება კი არ დასცალდა, მაგრამ ასე სალიღინო და რალაცნაირ შეთვისებულ, შესისხლბორცებულ მწერლად კი იქცა კაცი, რომელმაც შეძლო და სევდა ყოველგვარი პათეტიკისგან, ყოველგვარი მაღალფარდოვნებისგან დაცალა და მიწაზე ჩამოიყვანა, საგნების, ადამიანების, მოვლენების, სცენებისა და ატმოსფეროების ფორმა მისცა:

„ჯერ ისევ ცას ხევენ მამლები, გარიჟრაჟს კინძავენ ხმა-ხმა, როცა სოლედად მანტოია ჩამოდის ბნელი მთის დაღმართს. სხეული, ყვითელი რვალი, სუნთქავს ცხენითა და ჩრდილით, ძუძუებს, გაკვამლულ გრდემლებს, ზრიალი ახსნია წყვილი“.

გასაქანს თუ მისცემ, აღუზიებით შეიძლება გაივსოს თითო ლექსი. აგერ, ზემოთ მოყვანილ „შავი ნაღვლის რომანსში“, ცადეთ და ვერ

დაინახეთ დონ კიხოტი? - არ გამოვა, აუცილებლად იპოვით სოლედად მანტოიაში ესპანელთა მეოცნებე წინაპარს და მამას და მშობელს და... მასში თუ არა, რომელიმე აქაურ ბოშაში მაინც, რომელთა ბოშურობა, აქვე მთარგმნელის შენიშვნა მოვიშველიოთ, მხოლოდ პოეტური პირობითობაა, ყველა მათგანი კი გინდა სახელით და გინდაც ხასიათით, ესპანელია.

იყო დიდი, ასევე ესპანელი მწერალი, ბლასკო იბანიესი. მის გენიალურ რომანში, „სისხლი და ქვიშა“ არის ერთი პასაჟი, საქვეყნოდ რომელია და მსოფლიოში ცნობილი ტორერო, ხუან გალიარდო კორიდაზე შესასვლელად ემზადება. ემზადება და ბარე 5 გვერდი ეთმობა მისი ვნებათაღელვის აღწერას, მის ნერვიულობასა და სისხლის დუღილს, მაგრამ გარეთ გასვლისას, სადაცაა რომ ხარის პირისპირ უნდა ვიხილოთ, კულმინაციურ წერტილში ავტორი ტოვებს პერსონაჟს და ბრბოს ქაოსის, მოგრიალე ტრიბუნების, არენაზე მიმავალ ტორეროთა ცხენების გაუჩერებელი სირბილის აღწერაზე გადადის. ამ დროს ხედავ, რა გატაცებით წერს იბანიესი ამ ყველაფერზე, როგორ ეამაყება, როგორ უხარია და როგორ ბავშვივით უბრწყინავს თვალები, რადგან ესპანეთია, რადგან მისია, რადგან ასეთია და ოლე, ოლე... გაექცევათ ხოლმე კალამი ასე და ეს ყველაფერი კი, კარგია, მაგრამ სადაა პერსონაჟი? რას გრძნობს ახლა? მხრებში შედგომა უნდა, ბრძოლის წინ ყოველთვის რაღაც უჩვეულოდ ჩუმი, გამოუთქმელი წინათგრძნობა შეიპყრობს ხოლმე - მკითხველი (და შეიძლება მხოლოდ არაესპანელი მკითხველი) ისეთი დაბნეული, ყელწაგრძელებული ეძებს გალიარდოს ალტიკინებულ ბრბოში, როგორც ნაცნობ, ძვირფას

სახეს, მაგრამ ვერ ხედავს. მხოლოდ არენაზე გამოსვლისას უბრუნდება ენაგოფილილი ავტორი მას და ჩვენც იბანიესს რას მივედრებით და ჩვენივე მწირი წარმოსახვით გვიწევს დანაკლისის შევსება, მაგრამ აი, ლორკასთან ვპოულობდეთ იქნებ მას, სულ სხვა სახელით, სულ სხვა გვარით, მაგრამ ვინ რას დაგიშლის და ვინ რას მოგკითხავს და იყოს ეს კაცი გალიარდო სწორედ იმ გაბნეულ თუ გამოჩინილ კადრში და თავად მკითხველმა განსაჯოს საკუთარი განცდით, რამდენად ჰგავს ის მას, მაგრამ შეხედეთ ანტონიო ელ კამბორიოს... არ დაიხაროთ და ერთხელ ორივეს ერთად შეხედეთ:

„ანტონიო ტორეს ერედია, კამბორიოთა ძე და ძირი, მწვანე სიშავგრემნე მთვარის, თვალებზე კულუული ხშირი. წნორის არგანი აქვს ხელში, მშვიდად, ტანაკრეფით მიდის, გზა სევილიისკენ უდევს, დღეს ხართ ბრძოლა დიდი. ლიმონი დაკრიფა გზა-გზა, და წყალში იმდენი ყარა, რომ ფერი იცვალა ჩქერმა, დადინდა ოქროვან ღვარად“.

ხიბლში რომ შეხვალთ, არ გეკმართოთ იქნებ და იპოვოთ ფუნტესის არტემიო კრუსიც მასში და მრავალი და მრავალი კიდევ, სანამდის მენსიერება და კიდევ უფრო, ემოციური ინტუიცია მიგყვებათ და მოხვიდეთ კიდევ იქნებ ჩვენებურ ყოვჩაღის ბალადამდე. იმ ბალადამდე, ლეონიძემ რომ გადაათამაშა მერე, რომლის სულ სხვანაირ, თითქოს სულ სხვა სიუჟეტად გამოთლილ ალტერნატივას ლორკა „სხვისი ცოლის“ სახით გვთავაზობს ისევ „ბოშურ რომანსეროში“.

“როგორც რომ მაყვლოვანს გავცდით, ჩათავდა ლელიც და ნარიც,

სილაში მოვთხარე ღრმული, ჩაწურე მისი თმის ღვარი. ... და აღარც მინახავს მასუკან, რადგანაც მიმუხთლა იმ ღამით, ადგილს რომ ჩამყავდა ნარიყალს, საბედოდ მაჩვენა თავი, დამალა, რომ თურმე ქმარი ჰყავს."

ჰოდა, არც მე ვიქნებოდი პირველი და არც თქვენ, რომელიც ასე იახლობლებდა ლორკას, მასში რაღაც უჩვეულოს სხეულით იგრძნობდა. „ბოშური რომანსერო“ 1928 წელს გამოქვეყნდა. ვინ ვინ და, აგერ წერედიანი თვითონ ამბობს, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უპირველეს ლირიკოსად აქცია მწერალი. შეიყვარეს და გააღმერთეს და მოიკითხეს მშობლიურ გრანადაში დაკარგული დიდი ვნებათაღელვით 1936-ში, მაგრამ ფალანგისტები მაშინ ჟურნალ-ჟურნალ მოჰყოლიან მოურიდებელ ტყუილებს, რომ მოკლეს აქ, რომ არა, თურმე აქ, რომ არა, ვაზუსტებთ - აი, აქ... მედიის ასეთი მიკიბვ-მოკიბვის ფონზე არა მარტო ესპანეთი, მსოფლიო ითხოვდა სიმართლეს ამ ადამიანის შესახარ დასჯის შესახებ. მაშინ უკვე დიდმა ინგლისელმა მწერალმა, ჰერბერტ უელსმა სცადა ლორკას ამბის გამორკვევა და წერილი გაგაზავნა ფრანსკიტულ ზონაში, რომელშიც აღნიშნავდა, რომ „მოუთმენლად მოელის, შეიტყოს ახალი ამბები გამორჩენილი კოლეგის, ფედერიკო გარსია ლორკას ბედ-იღბლის შესახებ“. პასუხად გრანადის სამხედრო გუბერნატორს, პოლკოვნიკ ესპინოსას უცნობებია: „დონ ფედერიკო გარსია ლორკას ადგილსამყოფელი ჩემთვის უცნობია“. სპინოსა მაშინ ცრუობდა და ასე ცრუობდა დიდხანს ყველა პასუხად დაუსრულებელ შფოთვაზე გამოწვეული იმ ახალგაზრდა კაცის უსამართლო სიკვდილით, რომელიც მსოფლიო ლიტერატურულმა წრე-

ბმა სიცოცხლეში შეიყვარეს, სიკვდილის შემდეგ კი - გააღმერთეს.

ლორკას სიკვდილის ობიექტურ და არგუმენტირებულ, შესაბამისი არქივით გამყარებულ ისტორიას თუ მოიძევთ, ნახავთ, რომ მრავალი მცდელობიდან ერთია მხოლოდ, ჯიუტი, ძალიან ჯიუტი ესპანელი ჟურნალისტის, რომლის სახელიც აღნიშვნას იმსახურებს, ხოსე ლუის ვილა სან ხუანის სტატია სათაურით „ფედერიკო გარსია ლორკას მკვლელობა: სრული სიმართლე“, დაწერილი ლორკას სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ, 1976-ში. სწორედ ამ წერილშია აღწერილი დიალოგი, რომელიც ლორკას დასაკავებლად მიმავალ ლუის ალონსოსა და პოეტის მეგობარ, მიგელ როსალესს შორის შედგა:

- რაში სდებთ ბრალს ლორკას? - იკითხავს როსალესი.

- „მას უფრო მეტი ვნება მოაქვს თავისი კალმით, ვიდრე სხვებს - თავიანთი პისტოლეტით“ - უბრუნებს ალონსო.

ალონსო რომ მართალი იყო თავისი პერსპექტივიდან, ამის დამადასტურებლად მე ჩემი მხრივ საკმაო ვთქვი, ეგაა, რომ ლორკას დაასწრეს და მოიშორეს მანამ, სანამ მეტს ავინებდა მემარჯვენებს, სანამ მეტად ააფორიაქებდა ესპანელ ხალხს თავისი სიტყვითა და სიჯიუტით, სიმტკიცით, შეუპუებლობით.

ჰოდა, ამ „მავნებლობათაგან“ ერთ-ერთი უმთავრესი იყო „ბოშური რომანსერო“, რომლის წლებადნული გამოცემა თარგმანის ხარისხით გავზიადებული არ იქნება, ვთქვათ, მსოფლიო უმაღლესი კლასის თარგმანებს არ ჩამორჩება, ისევე, როგორც დავით წერედიანის სხვა ფან-

ტასტიკური ნაშრომები. ანოტაციაში თვითონვე მიანიშნებს ამაზე:

„მუსიკალური პოეტები ძნელად, ან საერთოდ ვერ ითარგმნებიან, მაგრამ ლორკა მხოლოდ მუსიკა არ არის, უპირატესად მეტაფორაა, მეტაფორული ეფექტი კი, როგორც ლორკასავე მაგალითიდან ჩანს, ერთი ენიდან მეორეში ნაკლები დანაკარგით გადადის“.

ასე ჩათვალეთ, თავმდაბლობს მაინც მთარგმნელი აქ და ბოლომდე არ ამბობს, ლორკა გადმოქართულდა და ლამის ამ მეტაფორული ნერვის ფეთქვით ორიგინალს გაასწრო.

„მთვარე, სულთმობრძავე ვერცხლი, და მთვარე, ნაფრცქვენი ნივრის, ყვითელი კოშკების თავზე ყვითლად თმაგამლილი ივლის.“

... რა ითქმის მეტი, ჩვენი, მკითხველის იღბალია, სხვა თუ არაფერი.

“შავი პრინცი“ და ქალის თვალით დანახული ალტერნატიული რეალობა

# “შავი პრინცი” და ქალის თვალით დანახული ალტერნატიული რეალობა

**მანანა არამაშვილი**



**აირის მერდოკი  
შავი პრინცი**

**აირის მერდოკი**

**შავი პრინცი**

**მთარბმნელი თამარ ლომიძე**

*გამომცემლობა „დიოგენე“*

აირის მერდოკის რომანი „შავი პრინცი“ პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მასში ასახული თანამედროვე ეპოქის პრობლემების კონსტრუქციულ რეალობაში ასახვის გამო. მწერალი გრძნობს საკუთარ უპირატესობას სიტყვის ხელოვნებას, მკითხველის გონებაში აშენებს და შემდეგ თავადვე ანგრევს არაერთ წარმოსახვით სამყაროს და ჩვენ, როგორც იმედგაცრუებულნი, ვიწყებთ წიგნის ხელახლა გადაკითხვას იმ იმედით, რომ პირადულ, ავთენტურ შთაბეჭდილებას შევიქმნით პერსონაჟებსა და მათ მიერ გადმოცემულ ალტერნატიულ ისტორიებზე. თუმცა, ძნელია ინდივიდუალურობის შენარჩუნება მაშინ, როდესაც პირველივე გვერდებზე, გამომცემლის წინათქმამში ვკითხულობთ: „ყოველი ხელოვანი უიღბლო შეყვარებულია, ხოლო უიღბლო შეყვარებულებს ყოველთვის სურთ თავიანთი ისტორიების მოყოლა“ და დიას! ათასობით სასიყვარულო ისტორია წარმოგვიდგება თვალწინ და ჩვენ დაუნებურად ფიქრობთ: „საწყალი ბრედლი, როგორ არ გაუმართლა?!“ შესაძლოა ასეც იყოს! ბრედლი პირსონი იწყებს წინათქმას და უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ის ცხოვრებისგან დაჩაგრული, ტრაგიკული წარსულისა და კრიზისული აწმყოს მქონე მწერალია, რომელმაც ნახევარი ცხოვრება ტანჯვაში განვლო და ასე იქნება მანამ, სანამ ავტორი ისევ არ მოინდომებს წიგნის მიწურულს თავისივე სიტყვებით აგებუ-

ლი ძლიერი, ურყევი კონსტრუქციის მქონე სამყაროს ნაწილებად დაშლას მხოლოდ რამდენიმე სიტყვით: „ბრედლის ყველაფრის თავისებურად განმარტებისა და შემდეგ ვითომდა მწყობრი, ლოგიკური სურათის სურათის შექმნის უნარი აქვს. შეიძლება, ეს ყველას გვახასიათებს, მაგრამ წიგნებს არ ვწერთ. მან ჩვენი ერთობლივი ცხოვრების არც ისე სწორი სურათი დახატა“- და ჩვენ-წამკითხველნი, ვრჩებით მოტყუებულნი, სიტყვების მახეში გაბმულნი, რომლებსაც ვერ გადაგვიწყვეტია, წაკითხული ურთიერთგამომრიცხავი ისტორიებიდან რომელს ვიჯერებთ და რომელ პერსონაჟს თანავუგრძობთ.

თუმცა, წიგნის ღირსება მხოლოდ სიტყვებით თამაში არაა. მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ქალ პერსონაჟთა სახეები. ქალები, რომლებიც ემორჩილებიან საზოგადოებრივ სტერეოტიპებს, მათ არ შეუძლიათ მამაკაცის მზრუნველობის გარეშე ცხოვრება და ყოველგვარ შეურაცხყოფას აიტანენ, ღალატსაც კი, მხოლოდ იმ მიზნით, რომ საყვარელ მამაკაცთან იყვნენ, სხვა შემთხვევაში მათი სიცოცხლე განწირულია, როგორც პრისცილას შემთხვევაში მოხდა. რეიჩელ ზაფენის პერსონაჟი კი ერთგავრი გალამქრებაა ამ სტერეოტიპების წინააღმდეგ საბრძოლველად. პერსონაჟი ძალიან გრძელ და დაბრკოლებებით სავსე განვითარების გზას გადის პირველიდან ბოლო გვერდამდე. კითხვის დაწყებისთანავე ზარავს მკითხველს ქმრისაგან ნაცემი, დაუცველი ქალის

მდგომარეობის წარმოდგენა, რომელიც საცოდავად მოკუნტულა საძინებელში და არავინაა მის გვერდით, გარდა ბრედლი პირსონისა (შემდგომში საყვარელი მამაკაცი), თუმცა, საბოლოოდ, მანაც დასცინა უბედური ქალის გრძნობებს და სასიყვარულო რომანი წამოიწყო ბაფენების ერთადერთ ქალიშვილთან-ჯულიანთან. მხოლოდ ერთი საღამო, ერთი ოჯახური კამათი გახდა საკმარისი იმისთვის, რომ რეიჩელი გადაქცეულიყო შურისმაძიებელ ქალად, რომელიც საბოლოოდ გათავისუფლდა მასკულინური წნეხისგან.

და, რა თქმა უნდა, ჯულიანი. მისი პერსონაჟი ამბობია ქალისთვის მიწერილი სტერეოტიპული ცხოვრებისა. ის არ ემორჩილება საზოგადოებრივ ნორმას; რომანტიკულ ურთიერთობას იწყებს კაცთან, რომელიც ასაკით მამად ეკუთვნის. ოხუნჯობს, დასცინის ხელოვანი ბრედლი პირსონისთვის ხელშეუხებელ სიწმინდეებს; ექსცენტრიკულ ტანისამოსში გამოწყობა და ჰამლეტის როლის გათამაშება სხვა რა უნდა იყოს თუ არა სარკასტული დამოკიდებულება მამაკაცური საწყისებისადმი და ფემინისტური სიძლიერის საამკარაოზე გამოტანა.

„შავ პრინცში“ ქალები თავისუფლდებიან დიდი ხნის განმავლობაში დადებული ბორკილებისგან, ოჯახური თუ საზოგადოებრივი მოვალეობებისგან. ასე იქცევა კრისტიანი, პრედლის ყოფილი ცოლიც, რომელ-

მაც საკუთარი თავის რეალიზება არა „ოჯახში“, არამედ პოლიტიკურ საქმიანობაში ჰპოვა. ქალები თავს აღწევენ მამაკაცთა ჩრდილისგან და თავად წარმართავენ საკუთარ ცხოვრებას. (თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით პრისცილაზე, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ). მერდოკმა ამ წიგნით საამკარაოზე გამოიტანა ორ პოლუსად გახლეჩილი- ფმინისტური და მასკულინური-სამყაროს საუკუნოვანი პრობლემატიკა, რაც დღემდე აქტუალური საკითხია თანამედროვე საზოგადოებისთვის.

აირის მერდოკის ეს შესანიშნავი რომანი ახალი აღმოჩენაა ქართველი მკითხველისთვის და ვიმედოვნებ, „შავი პრინცი“ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ქართველ (და არა მარტო) ქალბატონებს, რომ ჩვენ ვართ ინდივიდები, რომლებსაც თავად შეგვიძლია საკუთარი ცხოვრების წარმართვა, რომ გვაქვს პირადი სურვილები, ოცნებები და ინტერესები, რომ არ ვართ სუსტი სქესის წარმომადგენლები, რასაც ჯერ კიდევ ასე ჯიუტად გვიმეორებს ქალებს მთელი სამყარო. სიყვარული არა თუ ჩაგვრა ან დამორჩილება, არამედ-ურთიერთშეთანხმება, ჰარმონია. და თუ ეს უკანასკნელი დეფორმირებული და შელახულია ნირწამხდარი სტერეოტიპების მიერ, რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი ინდივიდუალიზმისთვის მსგავსად მერდოკის პერსონაჟებისა?!

# უბედურების მაცნაების ექსტაზი ია კალარმანი



თომას ბერნჰარდი

ტყის ჩეხა

მთარგმნელი:  
მაია ფანჯიკიძე

„სულაკაურის გამომცემლობა“

ყურებიან სარწეველა სკაშში ჩაფეციქი და წიგნის კითხვა დავიწყე, ასე მარტივია სხვის ტყავში შეძვრე და მისი უკეთ გაიგო. ყოველი ახალი ამბის წინ, საზურგე შეამოწმო და მიხვდე – მზად ხარ თუ არა, ახალი თავგადასავლისათვის.

კითხვის პროცესში ბევრ ისეთ ამბავს ნახავთ, რომელიც დღევანდლობასთან ძალიან ახლოსაა, არ მიყვარს ეს სიტყვათა შეთანხმება, თუმცა კითხვის დროს, არ არსებობს, იგივე არ დაინახოთ. სიკვდილის ქრონიკებიდან დაწყებული, ადამიანისა და საზოგადოების გაუცხოებით გაგრძელებული, წარსულში დაბრუნებითა და გაანალიზებით, როგორ იქცეოთ ბედნიერ და იმედით სავსე ადამიანიდან, უიმედო და უბედურ ადამიანად, არა მხოლოდ თქვენ, არამედ ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ცხოვრების იმედსა და ბედნიერ მომენტებს 30 წლის წინ იზიარებდით, რა შეიცვალა?...

წიგნი მუდმივი კითხვის დასმის მცდელობაა, სხვებსა და საკუთარ თავზე დაკვირვებით.

ჰო, რა შეიცვალა? რა მოხდა? რატომ აღარ დარბიხართ ღვინით ხელში იმ ადამიანთან, რომელიც ერთ დროს თქვენი საუკეთესო მეგობარი იყო, დავიჯერო ეს მის გარდაცვალებას უკავშირდება? და ირბენდით მაშინ, თუ ის ისევ ცოცხალი იქნებოდა? არა? მაშინ რა მოხდა? ჰო, თქვენგან ვითხოვ პასუხს, ცოტახანს გაჩუმდით, სხვებს არა მხოლოდ საკუთარ თავს მოუსმინეთ, რა მოხდა? რატომ გიხარიათ სხვისი სიკვდილი, გგონიათ თქვენ მუდამ ცოცხალი იქნებით?.... ამ კითხვას პროტაგონისტსა და მისი თვალით დანახულ საზო-

გადობას კი არ უნდა ვუსმევდე, არამედ ვჩერდებოდე, აღარ ვაგრძელებდე წერას და საკუთარ თავს ვეკითხებოდე.

ავსტრიელი ავტორის, პროზაიკოსისა და დრამატურგის თომას ბერნჰარდის „ტყის ჩეხა“ მეორე ნაწარმოებია, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა და სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა. ავტორი ძალიან კარგად იცნობს იმ სფეროს, რაზეც წერს. ქართულად თარგმნილი ორივე წიგნი თეატრს, მის გარშემო არსებულ სიტუაციას, საზოგადოების სურვილებს, მოლოდინებს, რეალობას, ადამიანებს, მათ ცხოვრებას, საკუთარი თავის ამ საზოგადოების ნაწილად ველარ მიჩნევას ეხება, თუმცა თან ისე, რომ მას ვერ გაექცევი.

ბოლო დროს, საზოგადოებას, რასაც მედია კიდევ უფრო ამძაფრებს, თან გასდევს სიკვდილის ქრონიკა და ყველა მედია საშუალება ნეკროლოგადაა ქცეული.

წიგნი პროტაგონისტის თხრობით და ძველ, არასასიამოვნო, მეგობრებთან შეხვედრით იწყება. შეხვედრა მოსალოდნელი და ამავე დროს, შემთხვევითია და პერსონაჟს მეგობრის გარდაცვალების შესახებ, აწვდის ინფორმაციას, რომელიც ისედაც იცის. აქ ერთი ძალიან საინტერესო მომენტი, პერსონაჟი ხაზს უსვამს როგორი ბედნიერები არიან აუერს-ბერგერები არასასიამოვნო ამბის გადმოცემით, მწუხარებაზე დაკვირვებით, რომელსაც მათი ნათქვამი შენს სახეზე აჩენს.

წიგნს წინ უძღვის ვოლტერის ფრაზა – „რადგან ვერ შევძელი ადამიანების გონზე მოყვანა, ვარჩიე, მათგან

შორს ვყოფილიყავი ბედნიერი“, რომელსაც სხვადასხვა ფორმულირებით ტექსტში ხშირად აუღერებს პროტაგონისტი.

ძველ მეგობრებთან ვახშამზე მიწვეული პერსონაჟი ყურებიანი სავარძლიდან აკვირდება შეკრებილ საზოგადოებას და მთლიანი წიგნი ერთგვარი „თავის მართლებაა“, წარმოდგენაა იმ საზოგადოების მანკიერების, რომელშიც 30 წლის განმავლობაში ტრიალებდა და უკვე 20 წელია ჯერ გაუუცხოვდა და შემდგომ გაექცა კიდეც.

ბერნჰარდის ტყის ჩეხვა, რომელსაც ავტორმა აღზნებაც უწოდა, გაუცხოებულ ადამიანს საშუალებას აძლევს დააკვირდეს იმას, რასაც ერთ დროს, უკანმოუხედავად გამოექცა. აძლევს ანალიზის შესაძლებლობას.

„ეს ქალაქი ხომ ჩემი ქალაქია და მუდამ ჩემი ქალაქი იქნება და რომ ეს ადამიანები ჩემიანები არიან და მუდამ ჩემიანები იქნებიან-მეთქი და მივრბოდი და მივრბოდი და ვფიქრობდი, რომ მე, როგროც ყველაფერ საშინელს, გენცგასეზე ამ საშინელ, ეგრეთ წოდებულ შემოქმედებით ვახშამსაც გადავურჩი“.

ორმხრივი უარყოფითი დამოკიდებულება, რის დასანახავადაც საუბარი არ არის საჭირო, ისედაც ჩანს, მოშორებით, დამკვირვებლის პოზიციაში მჯდომი ერთი ადამიანიდან ნელა გადაიტან მზერას მეორე ადამიანზე და ყველაფერი ცხადია

„როგორც ათწლეულების მანძილზე მარილებდნენ თვალს, როგორც

ათწლეულების განმავლობაში მე ვარიდებდი“ – „ყველა გრძნობს რომ მძულს, რომ მეზიზღებიან, ესმით კიდეც“ – პროტაგონისტის დამოკიდებულება პერსონაჟების მიმართ, ცალმხრივი არ არის, თუ იგი ფიქრობს რომ ვახშამს დაუფიქრებლად დათანხმდა, მისი აზრით, მას-პინძლებმაც დაუფიქრებლად დაპატიჟეს.

წიგნი ხშირია მის მიერ, მუდმივი აღნიშვნა იმის, რომ ისევ სკამზე ზის, ისევ აკვირდება, ისევ იხსენებს და უცებ ამის ფონზე, საკუთარ თავს დაუსვამს კითხვას, რომ ამ ადამიანებთან ერთად, ბედნიერიცა და მომავლის იმედით სავსეც იყო, ჰოდა რა უქნა საკუთარ თავს? ან რა უქნეს ადამიანებმა საკუთარ თავს, რად იქცნენ, როგორ გადააქციეს ცხოვრება შემოქმედებით ვახშამად, რომელიც ყოველთვის სხვისთვისაა მიძღვნილი და თან იმისთვის, ვინ ყოველთვის იგვიანებს, ვინც არასდროს არ მოდის.

წიგნი დღევანდლობას შემოქმედებითი უიმედობითაც მოგაგონებთ, წარმოდგენილი ყველა პრობლემა, რეალობასთან დაჯახებას და ბავშვობის ასაკიდან გამოსვლას ძალიან ჰგავს, მაშინ, როცა შედეგებს სთხოვ შენს თავს და მიზეზები უცნობია, ამიტომაც უკან დაბრუნება, ყურებიან სავარძელში მოკალათება, შორიდან დაკვირვება და მდუმარედ ყველა ამბის თავიდან გავლა გიწევს.

კმაყოფილების მომგვრელი უმძლესი მწვერვალი, რომელმაც თავისი ნიჭი ვენაში ჩამოსვლის პირველ კვირამივე გაფლანგა.

ჩარჩენილობა – „ჯოანას დაკრძალვის ფაქტზე მეტად ის მთრგუნავდა, რომ მის კუბოს უკან სულ შემოქმედებითი გვამები მისდევდნენ, სულ ხელმოცარულები, რომლებიც გადაუღებელმა თავსხმა წვიმამ სასაცილოობამდე გაასაცოდავა“.

„ნამდვილი ცხოვრებით არ გიცხოვრია, მხოლოდ ნათამაშევი ცხოვრება გაქვს. არა ნამდვილი, ყველაფერი, რაც შენ გეხება და ყველაფერი, რაც შენ ხარ, მხოლოდ ნათამაშევი“ – სასაფლაო აღვიქვი ყველაზე უფრო ბუნებრივ რამედ დედამიწაზე.

და ბოლოს, ისე ახლოს ვართ ადამიანებთან გგონია ეს კავშირი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაგვყვება, არადა ძალიან ძალე მთავრდება ყველაფერი და ადამიანები იმაზე მეტად ხდებიან უცხოები ჩვენთვის, ვიდრე მაშინ არიან, როცა გგგონია რომ ყველაზე კარგად ვიცნობთ მათ.

„ტყის ჩეხა“ – დაგაფიქრებთ ცხოვრებასა და საკუთარ თავზე, რომლისთვისაც, დარწმუნებული ვარ, არაერთხელ გიკითხავთ რა უყავით საკუთარ თავს, და თუ კითხვა სხვისი მისამართით გაგიჩნდათ, სხვას დააბრალებთ, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და თქვენს თავს კითხეთ, წამოდექით ყურებიანი სავარძლიდან და ამბავი გააგრძელებთ, რადგან ყველასა და ყველაფერს გაექცევით საკუთარი თავის გარდა.

# მათემატიკოსის ფანტაზია: საოუღრანიღრები და კოლაქტიური ინტელექტი

ანა მაისურაძე



**ვერნორ ვინჯი**

**ცეცხლი უფსკრულზე**

**მთარგმნელი:**

**არჩილ რაფველი**

**გამომცემლობა „პალიტრა-L“**

ვერნორ ვინჯი (Vernor Vinge) ამერიკელი მეცნიერია, რომელმაც შეისწავლა მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერება. შემდეგ კი დაიწყო მუშაობა სან-დიეგოს უნივერსიტეტში, სადაც იკვლევს დროისა და სივრცის სინგულარობას. ჩვენთვის, მკითხველებისთვის, იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, წერს სამეცნიერო ფანტასტიკის უანრის ლიტერატურას და საკმაოდ წარმატებულადაც. მას აქვს მოპოვებული “ჰიუგოს”, “პრომეთეს” და “ლოკუსის” არაერთი ჯოლდო, სხვადასხვა ნაწარმოებისთვის. სწორედ მან ჩამოაყალიბა ტექნოლოგიური სინგულარობის კონცეფცია (მომავლის კონკრეტული წერტილი, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება ხდება შეუქცევადი და უკონტროლო, რაც წარმოუდგენელ ცვლილებებს იწვევს ადამიანურ ცივილიზაციაში) და სავარაუდოდ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წარმოგვიდგინა წარმოსახვითი „კიბერსივრცე“.

„ცეცხლი უფსკრულზე“ (A Fire Upon The Deep) სწორედ ტექნოლოგიური სინგულარობით გამოწვეულ ერთგვარ აპოკალიფსს გვიხატავს. ადამიანები ქმნიან ხელოვნურ ინტელექტს, მანკიერებას, რომელიც ხდება უკონტროლო და გამანადგურებელი. ადამიანებმა შეძლეს მის შეჩერება, შორეულ წარსულში, თუმცა მომავალში, ადამიანთა პატარა ჯგუფი, მიტოვებული ლაბორატორიის კვლევასა, ახერხებს პანდორას ყუთის გახსნას და მანკიერების – ბოროტი ხელოვნური ინტელექტის სამყარო-

ში გაშვებას. რაც მათ და უამრავ სხვა ცივილიზაციას ძალიან ძვირი დაუჯდება. ვინჯი ისე უბრალოდ აღწერს მთელ ამ საშინელებას, რომ ცოტა არ იყოს რთულია გენოციდის მაშტაბების აღქმა. ალბათ ამ კოსმოსური სივრცეების აღქმას ისიც ართულებს, რომ ფიზიკის არმცოდნე ადამიანისთვის ცოტა რთული გასაგებია, თუნდაც ის თუ გალაქტიკის სხვადასხვა ნაწილში, რატომ მუშაობს ტექნიკა სხვადასხვანაირად და ა.შ. სხვათაშორის, გალაქტიკის აგებულებაა პირველი რასაც ვხედავთ რომანში. სწორედ ამ ზონების თავისებურება თამაშობს გაამწყვეტ როლს სიცოცხლისათვის ბრძოლაში. თითოეული ზონა, თავისი პირობებით განსხვავებულ ცივილიზაციებს ბადებს. რაც უფრო ახლო ვარსკვლავური სისტემა გალაქტიკის ცენტრთან, მით უფრო პრიმიტიულია მასზე არსებული ცივილიზაციები, ხოლო გალაქტიკის გარე რეალზე ცივილიზაციები ფაქტიურად, ღმერთებს უტოლდებიან და ხშირად, არც ანაღვლებით მათზე დაბლა მდგომი ცივილიზაციების ბედი. თუმცა სწორედ ერთი შეხედვით პრიმიტიულ ცივილიზაციაზე აღმოჩნდება წამალი მანკიერების წინააღმდეგ.

ზონების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ტრილოგიასაც, რომლის პირველ წიგნსაც “ცეცხლი უფსკრულზე” წარმოადგენს, “ფიქრის ზონები” ჰქვია. ტრილოგიის დანარჩენი წიგნებია “უფსკრული ცაში” და “ცის შვილები”, რომელთა ქართუ-

ლად წაკითხვის დიდი იმედი მაქვს. პირველი წიგნის დასასრული ნამდვილად გიჩენს ინტერესს რომ დანარჩენი ნაწილებიც წაკითხო.

ნაწარმოებში რამდენიმე სიუჟეტური ხაზია. თხრობა საინტერესო და ჩამთრევია. კითხულობ და პერსონაჟებთან ერთად განიცდი თითოეულ მარცხს და გაბედნიერებს გამარჯვება. მოქმედება რამდენიმე პლანეტასა და სხვადასხვა რასებს შორის ხდება. ზოგიერთი სახეობა ნამდვილად ორიგინალური და ავთენტურია.

რომანში წარმოდგენილია შემდეგი ინტელექტუალი არსებები: ადამიანები. ძირითადად ადამიანთა ჩრდილოელ შთამომავლებს წარმოადგენენ და საუბრობენ ენაზე, რომელიც ნორვეგიულიდან არის წარმომდგარი. მანკიერება (Blight) უძველესი, ადამიანების მიერ შექმნილი ხელოვნური ზეინტელექტი, იგი ბოროტია. იოლად მანიპულირებს ექნოლოგიებითა და ორგანული არსებებითაც. იპყრობენ სხვებს და ვრცელდებიან. დიროკიმები (Dirokimes) ადამიანებზე ძველი რასა, რომლების მათ მოსვლამდე ცხოვროფდნენ სიანდრაქეიზე. კალირები (Kalir) ინსექტოიდური ჰუმანოიდები, რომლებიც ვრინიშის ორგანიზაციაში მთავარ რასას წარმოადგენენ. ვრინიში დიდი კორპორაციაა, რომელიც მართავს ინფორმაციას: გადამუშავება, გაგზავნა, მიღება და ა.შ. აფრაჰანტები (Aprahanti) პეპლისმაგვარი, ფერადფრთიანი ჰუმანოიდები, რომლებიც, ზღაპრული და უწყინარი შესახედაობის მიუხედავად ძალიან სასტიკი და მეომარი რასაა, რომლების მანკიერების მიერ დამყარებული ქა-

ოსით სარგებლობენ და დაკარგული ჰეგემონიის აღდგენას ცდილობენ.

თუმცა ჩემი ფავორიტი ორი რასა მინდა ცალკე გამოვყო და ისე გააცნოთ.

ხროვები (Tines) კოლექტიური გონის მქონე ძალისმაგვარი არსებები. თითოეულის პერსონა 4-8 ელემენტს აერთიანებს. ლეკვობიდან იწვრთნებიან და ერთიანი ორგანიზმივით ფიქრსა და მოქმედებას სწავლობენ. შეუძლიათ გარდაცვლილი ელემენტები ახლით ჩაანაცვლონ და ამის საშუალებით, ზოგჯერ ასწლეულები ცოცხლობენ. ისინი არცთუ მშვიდობისმოყვარე არსებები არიან. პირველივე გამოჩენისთანავე, ისინი თავს ესხმიან ადამიანთა ხომალდს და ხოცავენ ხალხს. ეს ორ ბანაკად გაყოფილი არსებები ერთმანეთს არ ინდობენ. ერთმანეთთან წინააღმდეგ ბრძოლაში, არ ერიდებიან წამებითა და სასტიკი მეთოდებით ახალი ჯიშების გამოყვანას, უნიკალური მკვლელი ხროვების შექმნას. ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი ჯოანა ასე აღწერს მათ: "თავდაპირველად ჯოანამ იფიქრა, რომ საქმე ძალღებთან ანდა მგლებთან ჰქონდა. თუმცა, სინამდვილეში ეს არსებები არც ერთნი იყვნენ და არც მეორე. დიან მათ ოთხი ვიქრო ფეხი და წამახული ყურები ჰქონდათ, მაგრამ გრძელი კისრითა და წითელი თვალებით ისინი შეიძლება უზარმაზარ ვირთხებად აღგექვათ."

მიუხედავად ერთმანეთისადმი გამოჩენილი სისასტიკის, ცბიერებისა და ვერაგობისა, ამ არსებებს დიდი ინტელექტუალური პოტენციალი აქვთ. ნიჭიერი და მოხერხებული რასაა. ძალიან ადვილად უღებენ ალღოს ადა-



მიანურ ტექნოლოგიებს. მათი ერთ-ერთი ბელადი კი მეჩუქურთმეა, ხელოვანი და არქიტექტორია. ერთადერთი დაბრკოლება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უშლით თითების არქონაა. ადამიანის ნაშიერთან დამეგობრებული ახალგაზრდა ხროვა, ამდი კი გვაჩვენებს, რომ სისასტიკე და დაუნდობლობა უფრო წვრთნის შედეგია, ვიდრე თანდაყოლილი თვისება. ადამიანებთან ურთიერთობისას ისინი ძალიან გვანან დედამიწაზე მცხოვრებ ძაღლებს. რომანის გამორჩეული ხროვები სწორედ ერთ-ერთი ლიდერი მეჩუქურთმე, ყარები ჯეკერამეფანი და ტირატექტი არიან, რომელიც თავის თავში გამწმენდის ბოროტ ელემენტს ებრძვის. მისი ეს ბრძოლა პიროვნულ გაორებას ჰკავს, და ძალიან საინტერესოა.

სხვათაშორის, ვერნორ ვინჯს სურდა რომანისთვის დაერქმია “ხროვებს შორის” (“Among the Tines”), თუმცა რედაქტორმა გადააფიქრებინა.

სკროუდრაიდერები (Skroders/Riders/Skroderiders) მცენარისმაგვარი არსება, ტოტებით, რომლებსაც ემოციების გამოსახატად იყენებს. ბუნებაში, ოდესღაც სქროუდრაიდერები ოკეანის ფსკერზე, უძრავად მყოფი არსებები არიან, რომლებსაც ხანმოკლე მეხსიერებაც კი არ გააჩნდათ, თუმცა 5 მილიარდი წლის წინ, ვიღაცამ ისინი ბორბლებიანი, მექანიკური საშუალებით აღჭურვა, ისევე როგორც, ხანმოკლე მეხსიერების ქონის უნარით. რის შემდეგაც, სკროუდრაიდერებმა ხელი ვაჭრობას მიჰყვეს. აი, როგორ გვიხატავს მათ ავტორი: “მოჟღერებულე არსება

ექვსთვლიან ურიკაზე მდგარ პატარა, დეკორატიულ ხეს წააგავდა. ურიკა კოსმეტიკური ზოლებითა და ფუნჯებით იყო მორთული და მის 150X120 სანტომეტრი ფართობის მქონე ზედაპირზე იგივე ემზღებოდა იყო გამოსახული, რაც დროშაზე. არსება დიდი სკროუდრაიდერი იყო, რომლის რასა თითქმის მთელ შუამილმეთში ვაჭრობდა. სიანდრა-ქეის ჩათვლით. სკროუდრაიდერის მჭახე, ყლურტულა ხმა ავტომატური თარჯიმნიდან მოდიოდა.”

ვალდარებ, სწორედ ამ არსებამ დაიპყრო ჩემი გული. “ლურჯი ნიჟარა” (ასე ჰქვია წიგნის მთავარ სკროუდრაიდერ პერსონაჟს) ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პერსონაჟია, ყველა წიგნს შორის რაც კი წამიკითხავს. მე იშვიათად მიყვარდება პერსონაჟები. “ლურჯი ნიჟარა”, სწორედ ის ასეთი იშვიათ შემთხვევათაგანია. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი მისნაირი მეგობრის ყოლით და მიუხედავად იმისა, რომ ოთახის მცენარე ორჯერ გავახმე (თან ერთი და იგივე მცენარე) “ლურჯ ნიჟარას” აუცილებლად მოვუვლიდი. არ მოვყვები მთელ იმ ამბებს რაც ამ საოცარი არსების თავს ხდება წიგნში, არ მინდა სპოილერი გამომივიდეს, თუმცა იგი ამტკიცებს, რომ სიკეთე, მეგობრობა და თავდადება, პირველ რიგში არჩევანია და ნებისმიერ არსებას შეუძლია წინ აღუდგეს მასში კოდირებულ ბრძანებებსა თუ ინსტინქტებს.

ყველა ფანტასტიკის მოყვარულს ვურჩევ წაიკითხოს ეს საოცარი წიგნი.





საქართველოს წიგნის გამომცემელთა  
და გამავრცელებელთა ასოციაცია  
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION



თბილისი



თბილისის მერია  
TBILISI CITY HALL



მედიისა და  
სპორტის  
წინააღმდეგობის  
სამსახური



საპარლამენტო ადმინისტრაცია,  
მსხვერპლთა კვლევისა და  
საოპიონო სამსახური

მედიის რეგულირების  
სამსახური

პუბლიკა

AT\_